

ს- 966

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ნელი შოთას ასული ცქიტიშვილი

საანდრო შანშიაშვილის  
ფემოქმედების ფოლკლორული წყაროები

10-01-09 - ფოლკლორი

10-01-01 - ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

შეკვეთა 01. ტირაჟი 60.  
გაზეთ „საყვარელის“ კომპიუტერული ცენტრი.  
38008, თბილისი, რუსთაველის გამზირი 52.

თბილისი  
1999

ფინანსური № 32  
- 02 - 06 1999

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ჯონდო ბარდაველიძე*.

ექსპერტი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი *როსტომ ჩხეიძე*.

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

*გიზო ჭელიძე*;

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *სოსო სივუა*;

3. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი *ოთარ ონიანი*.

წამყვანი ორგანიზაცია - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი


დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის *30 ივნისს* საათზე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (*პ 10 01 C № 3*) სხდომაზე.

მისამართი: 380008, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 5.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის *28 მაისს*

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი *ი. მარტყოფიანი* /ა. არაბული/



პრობლემის აქტუალობა და კვლევის ისტორია. მწერლობისა და ფოლკლორის ურთიერთმიმართება, ურთიერთხეგავლენა ყოველთვის იყო და დღესაც რჩება თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორისტიკის ერთერთ აქტუალურ პრობლემად. დღეს, როცა ევროპულ და ქართულ ლიტერატურაში ახლებურად გაშუქდა მითოლოგიისადმი, ფოლკლორისადმი დამოკიდებულების ბევრი საკითხი, საესეებით ნათელია, თუ რა მნიშვნელობას იძენს ამ პრობლემისაკენ კიდევ ერთხელ მიბრუნება და დამუშავება. თუ გაეითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მითოლოგიები ქართული მწერლობისათვის მუდმივ სიმბოლოთა სისტემად ჩამოყალიბდა მისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, რომლებზე დაყრდნობითაც ვლინდება ისტორიულ მოვლენათა ხასიათი, მით უფრო ცხადი გახდება ის, რომ მითოლოგიურ-ფოლკლორული და ლიტერატურული თანხვედრები თუ პარალელები უფრო ავლენენ ისტორიული პროცესის შეუქცევად ხასიათს.

ამ თვალსაზრისით, მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში, სხვა შემოქმედთა მსგავად, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მწერლისა და დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებას. მის პოეზიაში, პროზაში თუ დრამატურგიაში თვალნათლივ გამოიკვეთა ეროვნული მწერლობის ხალხურ ძირებთან მიბრუნების აუცილებლობა და პირიქით, ხალხური სიბრძნის ლიტერატურულ მიმოქცევაში შემოყვანის შეუქცევადი ხასიათი, რადგანაც ზეპირსიტყვიერება ძეგლმა თუ "არ გაიარა პოეტის ფანტაზიის და გონების მანქანაში, თუ მას პოეტმა არ ჩაჰბერა უკვდავი სული... თუ ლეგენდა არ შეუსისხლხორცა საკუთარ სულსა და გულს, არაფერი გამოვა, - თავის დღეში" /ვაჟა-ფშაველა/.

სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებაში, მის მიერ შექმნილ "მეორად" მხატვრულ სამყაროში განფენილი ფოლკლორული პლასტები სხვადასხვა კუთხით გამოვ-

1734